ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

წერილის ნომერი: **70-01242053551**
თარიღი: **23/07/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობა
მისამართი: ისანი - ქალაქი თბილისი, ნავთლუღის ქ. #8/1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის
რაიონის გამგებლის მოადგილეს
ბატონ გიორგი რჩეულიშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი **05.07.2024წ.-ის N36-01241873296** წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ ,,თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის" მიერ 2019—2023წ.წ.-ში რამდენჯერმე განხორციელდა ქ. თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქ. N9 შენობის ტექნიკური მდგომარეობის ვიზუალური გამოკვლევა, ხოლო სათანადო დასკვნები და წერილები გადაეგზავნა ისნის რაიონის გამგეობას.

2020წ.-ს შპს „ურბან კონსტრაქშენის" მიერ შენობის ცალკეულ ნაწილებს ჩაუტარდა სხვადასხვა სახის გამაგრებითი სამუშაოები.

თქვენი ზემოთაღნიშნული წერილის საფუძველზე 12.07.2024წ.-ს ჩვენი სამსახურის მიერ განხორციელდა შენობის მორიგი ვიზუალური გამოკვლევა, რა დროსაც დადგინდა, რომ:

1. არ არის შესრულებული 31.01.2023წ.-ის ჩვენი ბოლო წერილის რეკომენდაციები.

2. ეზოში შესასვლელის მოპირდაპირედ, ძირითადი შენობის ცენტრალურ ნაწილში, რომლის საძირკველი და ზეძირკველი გამაგრებულია მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციით, მზიდ კედლებსა და ტიხრებში წინა გამოკვლევების დროს დაფიქსირებული ზოგიერთი ბზარის გახსნილობა უწინდელთან შედარებით მცირედ მომატებულია (იხ. დანართი, სურ: 3-9). ბზარების გახსნილობისა და დეფორმაციების მატება განსაკუთრებით შეინიშნება აღნიშნული ნაწილის მიშენებაში, რომელიც უწინდელზე მეტად ჩამჯდარია, გადმოხრილია ეზოს მხარეს და ძირითადი შენობიდან დაძრულია დაახლოებით 5 სმ-ით (იხ. დანართი, სურ: 10-20).

3. ჩვენი ვიზუალური დაკვირვებით შენობის დანარჩენ ნაწილში წინა გამოკვლევის დროს დაფიქსირებულ ბზარებსა და დეფორმაციებს პროგრესირება არ შეენიშნებათ, თუმცა მობინადრეთა გადმოცემით, შენობის ამ ნაწილში არსებულ მზიდ კედლებსა და ტიხრებში ფრაგმენტულად ჩნდება ახალი მცირე ბზარები (იხ. დანართი,

სურ: 21, 22 და 23) .

გაცნობებთ, რომ, ვინაიდან შენობაში ჩატარებულია გამაგრებითი სამუშაოები, შენობის ხარისხობრივი შეფასება, ავარიულობის თვალსაზრისით ტექნიკური მდგომარეობისთვის, ვიზუალურად შეუძლებელია და მოითხოვს, შესაბამისი უფლებამოსილი სპეციალისტებისა და ორგანოების მხრიდან მზიდ კონსტრუქციებში ბზარების წარმოშობა-პროგრესირების პროცესზე მუდმივ დაკვირვებებს დეტალურ-კომპლექსური გამოკვლევით (უკანასკნელის, ცხადია მხოლოდ, საჭიროების შემთხვევაში), რომელთა შესრულება არ მიეკუთვნება ჩვენი საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და კომპეტენცია-მოვალეობათა სფეროს.

ამასთან, **2020** წლის გამაგრების სამუშაოების დროს შენობის გაუმაგრებლად დარჩენილი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობა, ყველა შემთხვევაში დაზიანების **III** ხარისხის შესაბამისად უნდა ჩაითვალოს (როგორც ეს ჩვენი **11.04.2019**წ.-ის დასკვნით იყო დადგენილი) და უნდა გამაგრდეს დღევანდელი წინასაპროექტო (როგორც ფუძე-გრუნტების, ისე შენობის მზიდი კონსტრუქციების) საკვლევ-საძიებო სამუშაოების, ანუ ფაქტიურად წინა აბზაცში მითითებული, უფლებამოსილი სპეციალისტებისა და ორგანოების მიერ შესრულებული დეტალურ-კომპლექსური გამოკვლევის, შედეგთა საფუძველზე დამუშავებულ-შეთანხმებული პროექტის მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად.

დანართი -**11** ფურცელი (შენობის ამჟამინდელი დაზიანებების ამსახველი ფოტომასალა).

შემსრულებელი:

ზაზა კუტალია

595 85 00 31

პატივისცემით,

თამაზ ალიბეგაშვილი

ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია-
დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. #140ა/ლ.პასტერის №7;
ელ-ფოსტა: tbilisimunicipallaboratory@gmail.com tel: (032)2240092